ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N14

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

15.06.2018

დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

12:00 საათი

მიმდინარე წლის 15 ივნისს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი) და ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრები, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, მერიის საქალაქო სამსახურების წარმომადგენლები და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის განხილვა (*12-031816495-03, 13.06.2018*) (**მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე**, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი);

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომა ეაოიცაოთა ქალაქ ითბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [illegible] საფინანსო-საბიუჯეტო, სარევიზიო, სატრანსპორტო საკითხთა, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლოტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიებთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომაs უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ზარქუა.**

მოისმინეს:

მომხსენებელმა კომისიებს წარუდგინა ინფორმაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2018 წ. 28 მაისის №1205 განკარგულების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 10 000,0 ათასი ლარის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. დედაქალაქის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია 12 000,0 ათასი ლარი, რომელიც არის შიდა გადანაწილებების შედეგად მიღებული თანხა, რაც ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებია. ბიუჯეტში მოძიებული რესურსის გათვალისწინებით თანხები ემატება, საბურთალოს გამგეობას (კოდი 010113) 60,0 ათასი ლარი გზების შეკეთებაზე, 259,0 ათასი ლარი კი კეთილმოწყობის (კოდი 020915) სამუშაოების განსახორციელებლად. 800,0 ათასი ლარი ემატება (კოდი 0211) 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებს, სასამართლო განჩინებიდან გამომდინარე. 500,0 ათასი ლარით იზრდება თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმა (კოდი 0412), იზრდება საქალაქო ტრანსპორტით რეგულარული გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 060211), 2 927,6 ათას ლარით. 286,6 ათასი ლარი ემატება (კოდი 070203) მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს, რათა მოხდეს თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების აეროფოტო გადაღებები. 130,0 ათასი ლარი ემატება (კოდი 070204) საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებისათვის შესაბამისი ტექნიკის შეძენას, როგორიცაა ფოტო/ვიდეო კამერები და კომპიუტერული ტექნიკა. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს (კოდი 0902) ემატება 167,0 ათასი ლარი, წამლების, საწვავის და სკვერებში უსახლკარო ცხოველებისათვის საკვები აპარატების შესყიდვისა მიზნით. ასევე სარეზერვო ფონდს (კოდი 10 22) ემატება 500,0 ათასი ლარი. ბიუჯეტის პროექტით, მცირდება გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის (კოდი 010109), ისნის (კოდი 010114) და მთაწმინდის რაიონებში (კოდი 010117), ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 0202), საპროექტო-საძიებო და კვლევით სამუშაოები (კოდი 020301), კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში (კოდი 0209), საბურთალოს გარდა, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 0210), გამწვანების ღონისძიებები (კოდი 0301), ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა რაიონებში (კოდი 0501), სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი 060101), წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06022003). დადგენილების პროექტით ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად ცვლილებები ასევე ხორციელდება სპორტის პრიორიტეტის ფარგლების არსებულ ასიგნებებშიც, მათ შორის მცირდება ***სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 080604) - 35,5 ათასი ლარით.***

წარმოდგენილი პროექტით ქ. თბილისის 2018 წლის ბიუჯეტი იზრდება და მთლიანობაში განისაზღვრება 906 863,6 ათას ლარით.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მომხსენებელმა კომისიის წევრების მიერ დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე– 2018 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებით სპორტისა და ახლაგაზრდობის მიმართულებით, ცვლილება არის მინიმალური, ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიაა, კომისია მხარს უჭერს არსებული ბიუჯეტის ცვლილებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, შალვა ოგბაიძე, დავით რურუა, ავთანდილ ცინცაძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)).

ქ.თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად მხარი დაუჭირა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტს და **გადაწყვიტა** საკითხის გატანა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე